USAID
ამერიკელი ხალხისგან

CAUCASUS
SWISS AGRICULTURAL SCHOOL

პრაქტიკული ტრენინგები სოფლის მეურნეობაში

სახელმძღვანელო

მსხვილფეხა ცხოველთა ჯანმრთელობა
4

წინამდებარე სახელმძღვანელოს ქართულ ენაზე გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ გაწეული დახმარების შედეგად. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ მთავრობის შეხედულებებს.

ცხოველთა ეპიდემიები

თქვენ შეისწავლით თუ როგორ ამოიცნოთ ეპიდემიები ფერმაში და როგორ იყოფა ისინი სხვადასხვა კატეგორიად. თქვენ , რომ როგორც ცხოველის მფლობელი თქვენ გადამწყვეტ როლს თამაშობთ ეპიდემიის გამოვლენასა და გავრცელებაში. თქვენ იცით, რომ, როგორც ცხოველის მფლობელი, კანონიერად ვალდებული ხართ დაეხმაროთ ეპიდემიების პრევენციას, ბრძოლასა და მონიტორინგს.

1 დაავადებასთან ბრძოლის მნიშვნელობის გაცნობიერება

ხშირად, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ინფექციური დაავადება საზიანოა ცალკეული ცხოველისთვის, ისინი თავად ცხოველთა პოპულაციას საფრთხეს არ უქმნიან. თუმცა, ეპიდემიების შემთხვევაში, საქმე სხვანაირადა: ეს დაავადებები იმდენად გადამდებია, რომ ჯანმრთელი ცხოველების პოპულაციაშიც კი, ძალიან მოკლე დროში ბევრი ცხოველი ინფიცირდება . ეპიდემიებს უფრთხიან ასევე იმის გამოც, რომ ამგვარი დაავადებები, როგორც წესი, ძალიან მძიმედ მიმდინარეობს.

ცხოველთა ეპიდემია არის ინფექციური დაავადებები, რომლებიც განსაკუთრებით გადამდებია ან იწვევს დიდ ეკონომიკურ ზიანს ან შეიძლება გადაედოს ადამიანებს (ზოონოზი).

„თურქულის“ მაგალითი

 თურქულის ბოლო დიდი აფეთქება მაგ. შვეიცარიაში 1965/66 წლებში მოხდა, როდესაც დაავადება 947 ფერმაში დაფიქსირდა. დაავადდა 18449 პირუტყვი, 33020 ღორი და 312 ცხვარი და თხა, რომელთაგან ყველა დაიღუპა ან დაიხოცა.
თურქული არის ერთ-ერთი ყველაზე საშიში ეპიდემია. მაგრამ არსებობს მრავალი სხვა ინფექციური პათოგენი, რომელიც აზიანებს პირუტყვს და ასევე შეიძლება გამოიწვიოს დიდი ზარალი. ერთერთი ასეთი ეპიდემია, რომელიც სპორადულად წამოყოფს ხოლმე სხვადასხვა ქვეყნებში - არის ჯილეხი. ეპიდემიის გამეორების საფრთხე მუდამ არსებობს. ასე, მაგალითად, ღორებში სახიფათო ეპიდემიაა „ღორის რეპროდუქციული და რესპირატორული სინდრომი“ (PRRS).

თურქულის ეპიდემია ევროპაში ევროპაში, 2001 წელს თურქულის (FMD) ეპიდემიამ საზარელი კვალი დატოვა. იმის გამო, რომ ეს დაავადება ძალიან იშვიათია, ვერ მოხდა მისი დროული ამოცნობა დაზარალებული ფერმების მიერ. დაავადება, აფეთქებიდან მხოლოდ ოთხი კვირის შემდეგ იქნა აღმოჩენილი ერთ-ერთი ღორების სასაკლაოს ვეტერინარის მიერ. თუმცა, პარალელურად, დაავადება უსწრაფესად ვრცელდებოდა, განსაკუთრებით ცხვრების საშუალებით, რადგან ცხვარი, დაავადების მიუხედავად, თითქმის არ ავლენს ავადმყოფობის სიმპტომებს შედეგად, მხოლოდ ინგლისში ექვს მილიონზე მეტი ცხოველი გაანადგურეს: ხუთ მილიონზე ცხვარი, 750,000 ძროხა, 430,000 ღორი და 10,000 თხა.

ცხოველების ეპიდემიებთან ბრძოლა

ცხოველთა ეპიდემიებთან ბრძოლა უმთავრესი პრიორიტეტია და ხშირად მას სახელმწიფო არეგულირებს. ცხოველთა ეპიდემიები, ზოგადი მნიშვნელობით, არის გადამდები დაავადებები, რომლებიც:
• შეიძლება გადაედოს ადამიანს (ზოონოზები);
• ცალკეული ცხოველის მფლობელს არ შეუძლია მისი აღმოფხვრა მხოლოდ საკუთარ ნახირში
• შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ველური ბუნების ადგილობრივ სახეობებს;
• შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი უარყოფითი ეკონომიკური შედეგები;
• მნიშვნელოვანია ცხოველთა და ცხოველური პროდუქტებით საერთაშორისო ვაჭრობისთვის.
მაშინაც კი, თუ ცხოველთა დაავადებებთან ბრძოლას სახელმწიფო არეგულირებს, თქვენ, როგორც ცხოველის მეპატრონე თამაშობთ მასში ცენტრალურ როლს. საეჭვო ეპიდემიის სწრაფად ამოცნობით და შეტყობინებით, შეგიძლიათ გადამწყვეტი გავლენა იქონიოთ ცხოველთა დაავადებების გავრცელებაზე.
ეპიდემიის გავრცელების შემთხვევაში, თქვენ ასევე შეგიძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოთ ცხოველთა ეპიდემიის სწრაფ შეკავებაში და ამით დაიცვათ სხვა ცხოველთა პოპულაციები ავადმყოფობისგან. ამიტომ ნებისმიერი ეპიდემიის გაჩენის შესახებ უნდა ეცნობოს შესაბამის კომპეტენტურ უწყებებს.

ცხოველთა დაავადებების კლასიფიკაცია

ცხოველის ყველა ეპიდემიას არ სჭირდება დაუყონებლივ გადაუდებელი ზომების მიღება ან პირიქით. ამრიგად, ცხოველების სხვადასხვა ეპიდემია იყოფა სხვადასხვა კატეგორიებად. ეპიდემიის გაჩენის შემთხვევაში, შემდგომი ქმედება დამოკიდებულია ეპიდემიის კლასიფიკაციაზე.

უაღრესად გადამდები ეპიდემიები	ინფექციურ დაავადებებს, რომლებიც შეიძლება ძალიან სწრაფად გავრცელდეს, შეიძლება ჰქონდეს განსაკუთრებით მძიმე სოციალურ-ეკონომიკური შედეგები და სერიოზული გავლენა შიდა ან საერთაშორისო ბაზარზე ცხოველების და ცხოველური პროდუქტებით ვაჭრობაზე უაღრესად გადამდებ ეპიდემიებთან ბრძოლის მთავარი მიზანია, ცხოველების რაც შეიძლება სწრაფი განადგურება
ეპიდემიები, რომლებსაც უნდა ვებრძოლოთ	ინფექციურ დაავადებები, რომლებსაც ებრძვიან რათა შეამცირონ მათი ნეგატიური გავლენა ჯანმრთელობისა ან ეკონომიკური შედეგების მხრივ
ეპიდემიები, რომლებიც საჭიროებენ მონიტორინგს	ცხოველთა ინფექციური დაავადებების მონიტორინგი საჭიროა, თუ მოსალოდნელია, რომ უახლოეს მომავალში შეიძლება გაჩნდეს ეპიდემია
სხვა ინფექციური დაავადებები	დაავადებები, რომლებიც რეგულირდება ხორცის კონტროლითა და შემოწმებით

2.0 ეპიდემიების ამოცნობა

თუ თქვენს ნახირში გავრცელდა ეპიდემია, აუცილებელია, რომ დროულად ამოიცნოთ იგი, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე ცხოველს მოულოდნელად მსგავსი სიმპტომები აწუხებს. ასეთ შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობეთ ამის შესახებ თქვენს ვეტერინარს.
ზოგიერთი დაავადება შეიძლება გადაეცეს ერთი სახეობიდან მეორეზე. ეს კიდევ ერთი მიზეზია, რის გამოც მნიშვნელოვანია ცხოველთა დაავადებების ადრეული გამოვლენა.

გავრცელებული ეპიდემიური დაავადებები

ეპიდემია	ძროხა	თხა	ცხვარი	ღორი	ქათამი	ადამიანი	სხვა ცხოველები
უაღრესად გადამდები ეპიდემიური დაავადებები							
თურქული (FMD)	●	●	●	●			გარეული მცოხნელი ცხოველები (მაგ. ირემი, შველი, ირემი ან კამეჩი), მაგრამ ასევე ლამები და ღორები
ღორის კლასიკური ჭირი (CSF)				●			ღორის ყველა სახეობა გარეული ღორის ჩათვლით
ღორის აფრიკული ჭირი (ASF)				●			ღორის ყველა სახეობა გარეული ღორის ჩათვლით
ფრინველის კლასიკური გრიპი				●	●	○	ინდაურები და ფრინველების სხვა სახეობები
დაავადებები, რომლის დროსაც ცხოველის დაკვლაა საჭირო							
ϰილეხი	●	○	●	○		○	ცხენი, ხორცისმჭამელები
ბრუცელოზი (გარდა B. ovis)	●	●	●	●		●	ბიზონი, ალპაკები, ლამები, აქლემი, მელა და ძაღლი, ცხენი
ტუბერკულოზი	●	●	●	●		○	ყველა ძუძუმწოვარი
IBR/IPV	●	●	●	●			სხვადასხვა ველური წვრილფეხა ჩლიქოსანი ცხოველი
BVD/MD	●	○	○	○			გარეული მცოხნელები
BSE	●	●	●			●	ზოოპარკში მცოხნელები, კატები, დიდი კატები
აუესკი	○	○	○	●			ძაღლები, კატები, მღრღნელები
CAE		●	○				არა
PRRS			●				ველური ტახი
ეპიდემიური დაავადებები, რომლებსაც უნდა ვებრძოლოთ							
სალმონელოზი	●	●	●	●	●	●	ძუძუმწოვრები, ქვეწარმავლები და ამფიბიები, მტაცებლები
ბლუთანგი	●	●	●				ველური მცოხნელები
ვერძის ბრუცელოზი			●				არა
EP				●			გარეული ღორი,
APP				●			გარეული ღორი,
დაავადებები, რომლებსაც ჭირდება მონიტორინგი							
პარატუბერკულოზი	●	●	●			შესაძ.	გარეული მცოხნელები და აქლემები
ემფიზემატოზური კარბუნკული	●		●				არა
დაავადებები, რომლებიც რეგულირდება ხორცის კონტროლით							
ტეტანუსი	●	●	●	●		●	ყველა ძუძუმწოვარი,
ცისტიცერკოზი	●			●		●	ცხენები და ადამიანები განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან
ერიზიპელები	○		●	●	●	●	გარეული ღორი

● მგრძნობიარე

○ ნაკლებად მგრძნობიარე

ზოონოზები

ზოონოზი არის დაავადებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს ცხოველებიდან ადამიანზე.

1.1 პირუტყვში ეპიდემიების ამოცნობა

თუ ნახირში რამდენიმე ცხოველი მსგავსი სიმპტომებით ავადდება, ან თუ მოულოდნელად გახშირდა სპონტანური აბორტები, გამომწვევი დაავადება სავარაუდოდ გადამდებია და შესაძლოა ეპიდემიაც კი იყოს.

განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყოთ, თუ ცხოველები ნაყიდი გაქვთ. ხანგრძლივი ინკუბაციური პერიოდის ეპიდემიები შეიძლება გაჩნდეს წლების მერე გამოჩნდეს.

პირუტყვის ყველაზე მნიშვნელოვანი ეპიდემიები და მათი სიმპტომები

ეპიდემია	მადის დაქვეითება	ცხელება	პროდუქტულობის ვარდნა	ხველა	დიარეა	მოძრაობის დარღვევები	ლორწოს ცვლილებები	შეშუპება/სისხლდენა	აბორტები/მკვდრადშობადობა	უეცარი სიკვდილი	საინკუბაციო პერიოდი
უაღრესად გადამდები											
თურქული (FMD)	●	●	●			●	●		●	●	1–5 დღე
დასაკლავი											
ჯილეხი *	●	●						●		●	1–5 დღე
ბრუცელოზი *									●		14–180 დღე
ტუბერკულოზი *			●	●				●			150 დღე
IBR/IPV				●			●		●		2–4 ან 21–42 დღე
BVD/MD					●				●		განსხ.
BSE *			●			●					4–6 წელი!
საბრძოლველი											
სალმონელოზი*				●	●				●		საათებიდან 3 ღღემდე
ბლუთანგი (BT)						●	●	●		●	4–20 დღე
მონიტორინგი											
პარატუბერკულოზი			●		●			●			6 თვიდან 15 წლამდე
ინტოქსიკაციის ხანძარი			●			●		●			1–5 დღე
ხორცის კონტროლი											
ტეტანუსი *						●		●			2 კვირიდან
ცისტიცერკოზი *			●								8–10 კვირა

თურქული

თურქულ უაღრესად გადამდები ვირუსული დაავადებაა და მსოფლიოში არაერთხელ გავრცელებულა.
ინკუბაციური პერიოდი 1-დან 5 დღემდეა. თუმცა, ინფიცირებული ცხოველი უკვე ინკუბაციური პერიოდის განმავლობაში ავრცელებს ვირუსებს, ნერწყვის, ცხვირიდან გამონადენის, შარდისა და განავლის, ასევე რძის მეშვეობით. ძალიან მოკლე დროში, ნახირში სხვა პირუტყვებიც ინფიცირდება უშუალოდ ავადმყოფ ცხოველთან კონტაქტით, ინფიცირებული რძის დალევით ან ინფიცირებული საგნებით.
თურქული დიდხანს ცოცხლობს ტენიან ჰაერში და, შესაბამისად, შეიძლება გავრცელდეს დიდ დისტანციებზე, განსაკუთრებით ცივ, ნოტიო ამინდში და სუსტი ქარის დროს. ვირუსი ასევე ძალიან ადვილად გადადის აღჭურვილობის (სასმელები, საწველი მანქანები), სატრანსპორტო მანქანების, ადამიანებისა თუ სპერმის საშუალებით. ამიტომ ვირუსი ძალიან სწრაფად ვრცელდება ერთი ფერმიდან მეორეზე.
თურქული განსაკუთრებით აზიანებს პირუტყვს: აქვს მაღალი სიცხე, აპათიურია, ცუდად იკვებება და აწარმოებს ნაკლებ რძეს. პირის ღრუს, ენის, ჩლიქებისა და ცურის ლორწოვან გარსზე ყალიბდება ტიპიური ბუშტუკები (აფთები). პირის ღრუს ცვლილებების გამო, ავადმყოფ ცხოველებს აქვთ ნერწყვდენა და უჭირთ ღეჭვა. ცხოველები ხშირად კოჭლდებიან და წვანან, რადგან ჩლიქები სტკივათ. ორსულ ძროხებში მაღალი სიცხის გამო ხშირია ასევე აბორტები.
აფთები ერთიდან სამ დღეში სკდება და სწრაფად განიკურნება. ზრდასრული პირუტყვი დაავადებისგან იკურნება. ახალგაზრდა ცხოველები კი ხშირად იღუპებიან. თურქული შედეგად მიღებული ეკონომიკური ზარალი უზარმაზარია, რადგან ძროხები თითქმის აღარ აწარმოებენ რძეს, რძის გაყიდვა არ შეიძლება, ბევრი ხბო კვდება და ხშირია აბორტები. თურქულის გავრცელების შემთხვევაში დაწესებულია ისეთი ზომები, როგორიცაა ნახირში ყველა ცხოველის დაკვლა და ცხოველებით და ცხოველური პროდუქტებით ვაჭრობა, ასევე უდიდეს ზარალს აყენებს მეცხოველეობას

საინკუბაციო პერიოდი

დრო პათოგენის ორგანიზმში შეღწევას და დაავადების პირველი სიმპტომების გამოვლენას შორის.

თურქული პირუტყვის ერთ-ერთი ყველაზე დამანგრეველი ვირუსული დაავადებაა მთელ მსოფლიოში. ამ უაღრესად გადამდებმა დაავადებამ შეიძლება ძალიან მოკლე დროში დააინფიციროს ფერმაში არსებული ყველა, რასაც ძალიან მძიმე ეკონომიკური ზიანი მოყვება ხოლმე.
ასეთი ეპიდემიის გავრცელების შემთხვევაში იქმნება კრიზისული ორგანოები და იქმნება კარანტინის ზონები

თურქულის ძირითადი სიმპტომები

ცვლილებები დაავადებული ძროხის ცხვირზე და ენის წვერზე.

პირის ღრუს და ენის ლორწოვანი გარსის ცვლილებები

ჩლიქებს შორის ღრუს ცვლილებები

მასიური ნერწყვდენა

ჯილეხი

ჯილეხის გამომწვევი პათოგენი სპორების წარმომქმნელი ბაქტერია Bacillus anthracis-ია. ჯილეხი მთელ მსოფლიოში გვხვდება. როდესაც ჯილეხის ბაქტერიები ცხოველების გარეთ იმყოფებიან, ჟანგბადთან შეხებისთანავე სპორებად იქცევიან და საძოვრებზე ათწლეულების განმავლობაში ცოცხლობენ.
მსხვილფეხა პირუტყვი ინფიცირდება იმ დაბინძურებული საკვების (მაგ. საძოვრების ბალახის) ან წყლის მიღებით, რომელშიც პათოგენი ჯილეხის მქონე ცხოველის განავლით და სისხლით ხვდება. ინკუბაციური პერიოდი 1-დან 5 დღემდეა. დაავადების ნიშნები ხშირად შეუმჩნეველია ხოლმე. ჯილეხის გაჩენის შემდეგ დაავადება ძალიან სწრაფად პროგრესირებს: ცხოველების უმეტესობა მოულოდნელად იღუპება სისხლის მოწამვლისგან, რომელიც ძალიან სწრაფად ვითარდება. როგორც წესი, სიკვდილის შემდეგ, ანუსიდან, საშოდან, პირიდან და ცხვირიდან მუქი, ცუდად შედედებული სისხლი გამოდის.
თუმცა, ცალკეული ცხოველები დაუყოვნებლივ არ იღუპებიან და აქვთ ძალიან მაღალი სიცხე, უმადობა სისხლიანი ფაღარათი, აგრეთვე სისხლიანი გამონადენი სხეულის სხვადასხვა ორგანოდან. 12-დან 48 საათის შემდეგ, ეს ცხოველებიც კვდებიან

დაავადებული ცხოველები მკურნალობას არ ექვემდებარებიან. დაავადების დადგენის შემთხვევაში ცხოველი უნდა დაიკლას სასაკლაოზე ვეტერინარული ზედამხედველობის ქვეშ. იშვიათ შემთხვევებში, დაავადება შეიძლება გადაეცეს ადამიანებს (ზოონოზი)

ბრუცელოზი

ბრუცელოზი მსოფლიოში სხვადასხვა სიხშირით ხდება. მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში ბრუცელოზს იწვევს ბაქტერია "Brucella abortus". ბრუცელა გადაიცემა, როდესაც ცხოველი ინფიცირებულ მასალას პირის ღრუს, კანის დაზიანებების ან ლორწოვანი გარსების მეშვეობით იღებს. გადაცემა ასევე შეიძლება მოხდეს ინფიცირებული სპერმით განაყოფიერების შემდეგ. ინკუბაციური პერიოდი 14-დან 180 დღემდეა.
ბრუცელოზი ნელა მიმდინარეობს, ხშირად დაზარალებულ ცხოველებში ხილული სიმპტომების გარეშე. დაავადება საშიშია, რადგან ის იწვევს ეპიდემიურ აბორტებს ორსულობის ბოლო მესამედში. ფიტუსები შეიძლება დაფარული იყოს მოყვითალო ლაქებით. ხშირია ასევე პოსტნატალური დარღვევებიც. ზოგიერთ შემთხვევაში, შეინიშნება ლორწოვან-ჩირქოვანი, რუხი-თეთრიდან მოწითალო ვაგინალური გამონადენი. ხარებში შეინიშნება სათესლე ჯირკვლის გადიდება, რაც გამოწვეულია სათესლე ჯირკვლის და ეპიდიდიმის ანთებით. დაავადებულ ძროხებს მოგვიანებით ხშირად ნაყოფიერების პრობლემები აქვთ.
თუ ორსულობის ბოლო მესამედში ნახირში ეპიდემიური აბორტის ნიშნები შეიმჩნევა, რასაც ნაყოფიერების პრობლემები მოჰყვება, საქმე სავარაუდოდ ბრუცელოზთან გვაქვს.
დაავადებული ცხოველები პათოგენს ძირითადად სასქესო ორგანოებისა და სარძევე ჯირკვლების მეშვეობით გამოყოფენ . ამიტომ ინფექციის ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა აბორტის მასალა, უმი რძე და არაპასტერიზებული რძის პროდუქტები

ბრუცელოზი არის ზოონოზი. ინფიცირებულებს ძირითადად აწუხებთ მუდმივი ცხელება, ოფლიანობა ღამით, თავის ტკივილი, მადის დაკარგვა, კუჭ-ნაწლავის ჩივილები, გულისრევა და ღებინება.

ტუბერკულოზი

ტუბერკულოზი მსოფლიოში. სხვადასხვა სიხშირით ხდება დაავადება გამოწვეულია ორი განსხვავებული ბაქტერიული პათოგენით.

• გავრცელებული ტიპისთვის („Mycobacterium bovis“) მთავარი მასპინძელი პირუტყვია. ღორები, ცხვრები, თხა და კამეჩები, მელა, მაჩვი და კურდღელი ძალიან მგრძნობიარეა მის მიმართ, ხოლო ცხენი და ადამიანი ნაკლებად. „bovis“-ით ინფიცირებული ადამიანი პირუტყვისთვის ინფექციის ძირითადი წყაროა.

• მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის იშვიათი სახეობისთვის („Mycobacterium tuberculosis“) მთავარი მასპინძელი ადამიანია. ადამიანებში ტუბერკულოზის თითქმის ყველა შემთხვევას ეს ბაქტერია იწვევს.

ტუბერკულოზის პათოგენები განსაკუთრებით კარგად ცოცხლობენ ნიადაგსა და ნაკელში. მსხვილფეხა რქოსანი ტუბერკულოზის ბაქტერია („M. bovis“) ძირითადად ვრცელდება ჰაერწვეთოვანი გზით, მაგრამ ასევე საკვების საშუალებით. ზრდასრულ ძროხებში პათოგენი ყველაზე ხშირად ფილტვების მეშვეობით ხვდება, ხბოებში კი ზოგჯერ ნაწლავებით.

ზრდასრული პირუტყვი მხოლოდ დაახლოებით ხუთ თვის მერე (ინკუბაციური პერიოდი 150 დღე) ავადდება. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება შესამჩნევი ძროხებში დაავადება: მცირდება შრომისუნარიანობა, სულ უფრო და უფრო ხდებიან, სიცოცხლისთვის საშიშ დონემდე. დაავადებას თან ახლავს ცხელების შეტევები და გაფართოებული ლიმფური კვანძები. ხბოები, თავის მხრივ, მწვავე პნევმონიით ავადდებიან, რომელსაც ტუბერკულოზის პათოგენი იწვევს. დაავადებული ხბოები ერთიდან ორ კვირაში იღუპებიან.

ადამიანში ტუბერკულოზს «Mycobacterium tuberculosis» იწვევს. ასე რომ, ადამიანისა და ძროხის ტუბერკულოზს სხვადასხვა პათოგენი ჰყავს, თუმცა ორივე ბაქტერია, როგორც ადამიანის, ასევე ძროხის დაავადება შეუძლია,

ტუბერკულოზით დაავადებული ცხოველები მკურნალობას არ ექვემდებარებიან. დიაგნოზის დასმის შემდგომ ხდება სასაკლაოზე მათი სანიტარიული წესით დაკვლა

მსხვილფეხა რქოსანი ტუბერკულოზი მზაკვრული დაავადებაა, რომლის ინკუბაციური პერიოდი ხუთ თვეზე მეტია.

ინფექციური რინოტრაქეიტი (IBR/PV)

IBR/PV გამოწვეულია ჰერპესის ვირუსით და სხვადასხვა სიხშირით მთელს მსოფლიოში გვხდება.

ჰერპესის ვირუსები განსაკუთრებით საშიშია, რადგან გარეგანი შეხორცების შემდეგ ისინი სხეულში ბრუნდებიან და სიტუაციიდან გამომდინარე (მაგ. სტრესი) კვლავ აქტიურდებიან. ამიტომ, ცხოველები მთელი სიცოცხლის განმავლობაში ატარებენ ხოლმე პათოგენს ისე, რომ სიმპტომები არ აღენიშნებათ.

• IBR-ის კლინიკური სურათი: თუ ინფექციური დაავადებების სიმპტომები ხბოებში ეპიდემიის სახით ვლინდება, ყოველთვის უნდა იფიქროთ IBR-ზე. IBR-სთვის დამახასიათებელია რესპირატორული დაავადებების ისეთ ზოგადი სიმპტომები, როგორიცაა გამონადენი ცხვირიდან, გახშირებული სუნთქვა და ხშირად გაწითლებულია პირი.

ხშირად აღინიშნება ძალიან მაღალი სიცხე. IBR-მა ასევე შეიძლება გამოიწვიოს ნაწლავების ანთება, ამიტომ დაავადების არსებობა არ არის გამორიცხული დიარეის მქონე ხბოებში. თუ ექვს თვეზე ნაკლები ასაკის ხბოებს აღენიშნებათ არაკოორდინირებული მოძრაობები, კუნთების კანკალი, დამბლა, ან სიბრმავე, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ტვინის ან ენცეფალიტით გამოწვეული IBR-ით. ხბოს ინკუბაციური პერიოდი 2-დან 4 დღემდეა.
ძროხებში ინკუბაციური პერიოდი 3-დან 6 კვირამდეა. აქ ინფექცია ჩვეულებრივ იწვევს ზედა სასუნთქი გზების მსუბუქ ინფექციას. ზოგჯერ, IBR ძროხებში ასევე ვლინდება კონიუნქტივიტის, კანის ანთებითი ცვლილებების და ცურის ან საშვილოსნოს ანთების სახით. ინფიცირებული ორსული ძროხები ჩვეულებრივ ორსულობის მე-5 და მე-8 თვეს შორის მშობიარობენ ხოლმე.

თუ ნახირში ბევრ ცხოველს მოულოდნელად „ჩვეულებრივი“ ინფექციური დაავადების სიმპტომები, (სუნთქვის ჰრობლემები ან დიარეა) აღნიშნება, ცხოველები შესაძლოა IBR-ით იყვნენ დაავადებულნი. IBR-ის სიმპტომებში შედის საშოს ლორწოვანი გარსის გაწითლება და ხშირი შარდვა.

• IPV-ის (ვაგინიტი) კლინიკურ სურათში ჰერპეს ვირუსული ინფექცია ვლინდება შედარებით უვნებელი სქესობრივი გზით გადამდები დაავადების სახით, რომელიც ვლინდება ბუშტუკოვანი გამონაყარის სახით სასქესო ორგანოების მიდამოებში. სიმპტომები ვლინდება მოკლე ინკუბაციური პერიოდის შემდეგ. შესამჩნევია გახშირებული შარდვა, კუდის უჩვეულო პოზა და გაწითლებული ლორწოვანი გარსი ვაგინის მიდამოებში, რომლებიც დაფარულია ფეტვის მარცვლის ზომის ვეზიკულებით. განკურნება ხდება 10-დან 14 დღეში.

IPV - (ვაგინიტი) - ვაგინალური ანთება

ვირუსული დიარეა (BVD/MD)

დაავადება გვხვდება მთელ მსოფლიოში და გამოწვეულია ვირუსით. ვირუსს გარემოში გადარჩენის მცირე უნარი აქვს. ის გადარჩენას ძირითადად მასპინძელ ცხოველებში ახერხებს. გადაცემა ხდება ცხოველებთან უშუალო კონტაქტით ან საშვილოსნოში.
დრო, როდესაც პირუტყვი ვირუსთან კონტაქტში შედის, გადამწყვეტია დაავადების სიმპტომების მიმდინარეობისა და სიმძიმისთვის.
ინფექციის დროიდან გამომდინარე, შეიძლება გამოიყოს დაავადების ორი კურსი მიმდინარეობა:
• დროებითი (გარდამავალი) ინფექცია
• მუდმივი ინფექცია მთელი ცხოვრების განმავლობაში

BVD/MD - ვირუსული დიარეა მკურნალობა არ არსებობს

დროებითი ან გარდამავალი ინფექცია
BVD-ის გარდამავალი ინფექცია ყველაზე ხშირად გარეგნულად შეუმჩნეველია და იწვევს ნახირის შეუმჩნეველ (ჩუმ) ინვაზიას. ცხოველებს გამონადენი ცხვირიდან და თვალებიდან, სიცხე (40,5 °C-ზე ზემოთ) 1-დან 3 დღის განმავლობაში. ცხელების ფაზაში შეიძლება დაინფიცირდნენ სხვა ცხოველებიც. ციებ-ცხელებიანი ცხოველები, როგორც წესი, ნაკლებად ხალისიანები არიან, ვიდრე მათი თანატოლები. თუმცა, რამდენიმე დღის შემდეგ ისინი გამოჯანმრთელდებიან და შემდეგ მთელი სიცოცხლე იმუნიტეტი აქვთ BVD-ზე.
იშვიათ შემთხვევებში ცხოველებს აწუხებთ წყლიანი, ზოგჯერ სისხლიანი დიარეა და რამდენიმე დღეში იღუპებიან. შესაძლებელია ასევე სიკვდილი 24 საათის განმავლობაში დაავადების ყოველგვარი ხილული სიმპტომების გარეშე. დაავადება ასუსტებს იმუნურ სისტემას და ცხოველები უფრო მგრძნობიარენი არიან სხვა რესპირატორული და დიარეული დაავადებების მიმართ.

განსაკუთრებით პრობლემურია, როდესაც ორსული ცხოველები პირველად ინფიცირდებიან ვირუსით. მეორადან მეოთხე თვეში ორსულობის დროს დაინფიცირებამ შეიძლება გამოიწვიოს ნაადრევი აბორტი ან ინფექციის მუდმივი განვითარება. ხანდახან შეინიშნება ცერებრალური დეფექტები, განსაკუთრებით ორსულობის შუა პერიოდში ინფიცირების დროს.

მუდმივი ინფექცია

მუდმივი ინფექციის დროს, ჯერ არ დაბადებული ხბო დედა ძროხის ინფიცირების შედეგად ინფიცირდება. ეს ხდება ნაყოფის განვითარების ადრეულ ფაზაში (ორსულობის დაახლოებით 40-დან 120 დღემდე). საშვილოსნოში ამ გზით ინფიცირებული ცხოველები „ნორმალურები“ იბადებიან და ინფექციის ნიშნები შესაძლოა შეიძლება დიდხანს კლინიკურად შეუმჩნეველი დარჩეს.

მუდმივი ინფექციით დაავადებული ცხოველები მთელი ცხოვრების მანძილზე ვირუსებს ავრცელებენ და, შესაბამისად, მუდმივად აინფიცირებენ სხვა ცხოველებს. ამიტომ, ამგვარი ცხოველების იდენტიფიცირება სწრაფად უნდა მოხდეს, რათა შენელდეს დაავადების გავრცელება.

ვირუსული დიარეის გზა



ცხოველები ვირუსებს მთელი ცხოვრების განმავლობაში გამოყოფენ.	თუ 2-4 თვის ორსული ძროხა დაინფიცირდა, ვირუსი არდაბადებულ ხბოს გადაეცემა.	ძროხა შობს დაინფიცირებულ ხბოს, რომელიც ხშირად სუსტი და ავადმყოფია.	თუ ხბო გადარჩება, ის ვირუსებს მთელი სიცოცხლის განმავლობაში გამოყოფს

BSE - ღრუბლისებრი ენცეფალოფატია

BSE პირველად დიდ ბრიტანეთში 1986 წელს გაჩნდა. BSE ასევე აღმოაჩინეს ევროპის ბევრ სხვა ქვეყანაში. ევროპის ფარგლებს გარეთ, BSE ჯერჯერობით მხოლოდ იაპონიაში, ისრაელში, კანადასა და აშშ-შია დიაგნოზირებული.
BSE-ით დაავადებული ძროხები ავლენენ ქცევის, მოძრაობისა და მგრძნობელობის დარღვევებს. ძროხებს ეშინიათ ვიწრო გასასვლელების გავლა ან უჭირთ ფერმაში თუნდაც ყველაზე პატარა დაბრკოლებების გადალახვა. ძროხებს ახასიათებთ მომატებული სიფხიზლე, შფოთვა, ნერვიულობა. ცალკეული ცხოველები შეიძლება აგრესიულებიც კი გახდნენ. სხვა ქცევითი ცვლილებებია ცხვირის ხშირი ლოკვა, კბილების კაწკაწი და კუნთების კანკალი. დაავადების პროგრესირებასთან ერთად ცხოველები იწყებენ რხევას და შესაძლოა პარალიზიც დაემართოთ.
სხვა სიმპტომებში შედის ჰიპერმგრძნობელობა კანზე შეხების მიმართ. ეს ყველაზე მეტად თავისა და კისრის არეშია გამოხატული. BSE-ით დაავადებულ ცხოველებს ხშირად უკანა ფეხებით ტლინკებს ყრიან. ზოგიერთი ცხოველი ასევე მომატებულად მგრძნობიარეა ხმაურის და სინათლის მიმართ. სიმპტომები ცხოველებში განსხვავებული და შეიძლება საერთოდ არ გამოვლინდეს. ინკუბაციის პერიოდი ოთხიდან ექვს წლამდეა.
ეს დაავადება გამოწვეულია პრიონებით, რომლებიც ძალიან გამძლეა. პრიონები ქმნიან "ხვრელებს" ტვინში, რომელიც ღრუბელს წააგავს. პრიონები გადაეცემა არასაკმარისად გაცხელებული, ინფიცირებული ცხოველის დაფქვილი ცხედრით კვებისგან. თუმცა, ამ ფაქტის აღმოჩენის შემდეგ, ამგვარი საკვების მომზადება აკრძალულია.
BSE ზოონოზია. BSE-თი დაავადებული საქონლის ხორცის ჭამამ ადამიანში შეიძლება გამოიწვიოს კრეიცფელდტ–იაკობის დაავადება

BSE - ღრუბლისებრი ენცეფალოფატია

ცხოველები მკურნალობას არ ექვემდებარებიან. დიაგნოზის დასმის შემდგომ ხდება სასაკლაოზე მათი სანიტარიული წესით დაკვლა

პრიონები
ცილები, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს ცვლილებები თავის ტვინში.

BSE ზოონოზია. დაავადებული საქონლის ხორცის ჭამამ ადამიანში შეიძლება გამოიწვიოს კრეიცფელდტ–იაკობის დაავადება

სალმონელოზი

სალმონელოზი გამოწვეულია სხვადასხვა ტიპის ბაქტერიებით. ზოგიერთი კონკრეტული „მასპინძლის“ დაინფიცირებაზეა ორიენტირებული, ზოგს კი სხვადასხვა ცხოველის სახეობის დაინფიცირება შეუძლია.
მთელ მსოფლიოში გავრცელებული და განსაკუთრებით პრობლემურია ორი ტიპის ბაქტერია - "S. Typhimurium" და "S. Enteritidis". ისინი ადვილად შეიძლება გადაეცეს ცხოველის ერთი სახეობიდან მეორეს და ასევე ადამიანს და ამით სალმონელა შედარებით სწრაფად ვრცელდება.
პირუტყვი ჩვეულებრივ ინფიცირდება სალმონელას შემცველი განავლის, დაბინძურებული საკვების ან საძოვრების, ან დაავადებული ცხოველების ექსკრემენტების მეშვეობით.
ინკუბაციური პერიოდი რამდენიმე საათიდან სამ დღემდეა. დაავადების მიმდინარეობა დამოკიდებულია პირუტყვის ასაკსა და ჯანმრთელობაზე.
ხბოები სიცოცხლის მე-2 კვირიდან ყველაზე მოწყვლადები არიან. ცხოველებს აღენიშნებათ პნევმონიის სიმპტომები და აქვთ მძიმე წყლიანი ან სისხლიანი დიარეა. მათ ასევე უსივდებათ ხოლმე სახსრები და ატკივდეთ ჭიპი. პათოგენები სხეულში სისხლით ვრცელდება, რაც სისხლის მოწამვლას იწვევს. ამ ცხოველების დიდი ნაწილი იღუპება.
ასაკის მატებასთან ერთად სალმონელას ინფექციები ხშირად მსუბუქი ან ასიმპტომურია. ზრდასრული ცხოველები იშვიათად ავადდებიან. თუ ცხოველები მაინც ავადდებიან, მათ აწუხებთ მუცლის ტკივილი და ძლიერი, ლორწოვანი ან სისხლიანი დიარეა. ორსულ ძროხებს ხშირად ემართებათ აბორტის, რა დროსაც ასევე დიდი რაოდენობით მიკრობებს გამოყოფენ.

სალმონელოზი
სალმონელოზი ერთ-ერთი იმ ეპიდემიათაგანია, რომელსაც უნდა ვებრძოლოთ.

სალმონელოზით ძირითადად ხბოები ავადდებიან. აქვთ დიარეა და პნევმონიის სიმპტომები. ხანდაზმულ ცხოველებს ხშირად მხოლოდ მსუბუქი სიმპტომები აქვთ, თუმცა შესაძლებელია აბორტები.

BT-ბლუთანგი

ბლუთანგი გამოწვეულია ეგრეთ წოდებული ბლუთანგის ვირუსით. ის გადაეცემა ცხოველიდან ცხოველს შუყაყისებრთა გვარის კოღოსმაგვარი მწერებით. ეს ნიშნავს, რომ ვირუსის გადატანა ახალ ტერიტორიებზე ქარის საშუალებით დიდ მანძილზეა (100 კმ-მდე) შესაძლებელი. მთელ მსოფლიოში ბლუთანგი ძირითადად თბილ ქვეყნებში გვხვდება.

ბლუთანგის გადაცემის გზები

ზაფხულის თბილ კლიმატში, დაავადება კოღოს მსგავსი პატარა მწერებს გადააქვთ, ე.წ. ისინი ძირითადად აქტიური შებინდებისას და გამთენიისას არიან.

მწერები ვირუსს ინფიცირებული ცხოველების სისხლით იღებენ



ვირუსები კოღოში ვითარდებიან და მრავლდებიან. კოღო ვირუსებს სხვა ცხოველებს სისხლის წოვის დროს გადასცემს

ბლუთანგის ვირუსის 26 ტიპი არსებობს, რომლების ნაწილობრივ განსხვავდებიან კლინიკური სურათით და მის მიმართ მგრძნობიარე ცხოველთა სახეობების სპექტრით. პირუტყვი ბლუთანგის ვირუსის ცალკეული ტიპების ყველაზე მნიშვნელოვანი რეზერვუარია. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ბლუთანგის ვირუსის მხოლოდ გარკვეული ტიპებით ავადდება. მსხვილფეხა პირუტყვის უმეტესობაში ინფექცია ყოველგვარი გარეგანი სიმპტომების გარეშე მიმდინარეობს. ავადმყოფ ცხოველებში ძირითადი სიმპტომებია გასიებული თავი და კიდურები, ლორწოვანი გარსები, გამონადენი ცხვირიდან და ქაფიანი ნერწყვი.

ბლუთანგით დაავადებულ ცხოველებს აღენიშნებათ თავისა და კიდურების და შესაძლოა ენის შეშუპება, ასევე ცხელება, ლორწოვანი გარსების აქერცვლა.

4-დან 20 დღემდე ინკუბაციური პერიოდის შემდეგ, ცალკეულ ცხოველები ავლენენ „თურქულის“ მსგავს სიმპტომებს. თუ რომელიმე საქონელს დაავადების შემდეგ ნიშნებს შეამჩნევთ, უნდა დაუშვათ, რომ ცხოველი შესაძლოა ბლუთანგით იყოს დაავადებული: თავისა და კიდურების შეშუპება, სხეულის ტემპერატურის მომატება, ცურის კანისა და ლორწოვანი გარსის ანთება ქუთუთოების მიდამოში და ანთება პირის ღრუსა და სასქესო ორგანოების მიდამოებში, ლორწოს გამოყოფა პირის მიდამოში, აგრეთვე სიწითლე ჩლიქებთან. სიმპტომები ქრება გარკვეული დროის შემდეგ. თუმცა, შემდეგ ჩლიქები შეიძლება დასკდეს და გატყდეს.

პარატუბერკულოზი

პარატუბერკულოზი მთელ მსოფლიოშია გავრცელებული. როგორც ტუბერკულოზის შემთხვევაში, პარატუბერკულოზის გამომწვევი ბაქტერიაა „Mycobacterium paratuberculosis“. ის ძალიან მდგრადია. საძოვრებზე მას შეუძლია ერთ წლამდე იცოცხლოს, ნაკელში კი სამიდან ცხრა თვემდე. მიკობაქტერიები ავადმყოფი ცხოველების მიერ გამოიყოფა განავლის, შარდის, რძისა და სპერმის მეშვეობით, რის გამოც სხვა ცხოველები ძალიან სწრაფად ინფიცირდებიან.

პარატუბერკულოზი არის დაავადება, რომელიც საჭიროებს მონიტორინგს.

ხბოები ჩვეულებრივ ინფიცირდებიან სიცოცხლის პირველ თვეში, თუმცა, ცხოველები დაუყოვნებლივ არ ავადდებიან, რადგან ინკუბაციური პერიოდი 6 თვიდან 15 წლამდე გრძელდება. მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში, დაავადების პირველი ნიშნები, როგორც წესი, მხოლოდ ორიდან ექვს წლის ასაკში ჩნდება. პრატუბერკულოზიანი ძროხები ძალიან ცოტა რძეს გამოიმუშავებენ და ხდებიან. ამ ცხოველებს ასევე ხშირად აქვთ დიარეა, რომელიც არ ექვემდებარება მკურნალობას. განავალს ცუდი სუნი აქვს და აქვს ბუშტები. როდესაც ამ ცხოველებს კლავენ, შესამჩნევია ნაწლავის გასქელებული კედლები. გადიდებულია ლიმფური კვანძებიც.

პარატუბერკულოზით დაავადებული ცხოველები წონაში იკლებენ და ხშირად აწუხებთ დიარეა, რომელიც მკურნალობაზე არ რეაგირებს

ენდემია

დაავადება, რომელიც ხშირად გვხვდება ერთ კონკრეტულ რეგიონში

თუ ცხოველები მხოლოდ უფრო გვიან ასაკში ინფიცირდებიან, დაავადება ზოგჯერ საერთოდ არ ვლინდება. თუმცა, ცხოველები მაინც გამოყოფენ მიკრობაქტერიებს და ამით აინფიცირებენ სხვა ცხოველებს.

ემფიზემატოზური კარბუნკული

ემფიზემატოზური კარბუნკულით ინტოქსიკაცია გვხდება მთელ მსოფლიოში, მაგრამ ძირითადად ზაფხულში და უფრო რეგიონალურად.

დაავადებას ბაქტერიები (კლოსტრიდიები) იწვევენ. ეს ბაქტერიები ძალიან მდგრადია, რადგან ქმნიან სპორებს, რომლებსაც საძოვრებზე ან საკვებ ადგილებზე წლების განმავლობაში შეუძლიათ გადარჩენა.

დაავადება ცხოველიდან ცხოველზე პირდაპირ არ გადადის. ის ეგრეთ წოდებული საძოვრების დაავადებაა: ცხოველები ინფიცირდებიან სპორების მიღებით, მაგალითად, საკვებით. შემდეგ ბაქტერიები ცხოველში დაზიანებებით ლორწოვანი გარსების გზით აღწევენ (მაგალითად, კბილების გამოცვლისას). ინფიცირებული ცხოველები შედარებით სწრაფად და მძიმედ ავადდებიან; ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 1-დან 5 დღემდე. დაავადებულ პირუტყვს აქვს მაღალი სიცხე მტკივნეული და ანთებითი შეშუპებები ჩნდება მთელ სხეულზე. შეშუპეპებზე ხელის შეხებისას ისმის ტკაცუნის ხმა, რადგან კანქვეშა შეშუპებებში გაზი წარმოიქმნება. ბაქტერიების მიერ წარმოქმნილი ტოქსინები იწვევენ სისხლის მოწამვლას, რის შედეგადაც ავადმყოფი ცხოველები პირველი სიმპტომების გამოვლენიდან ერთ დღეში იღუპებიან.

ემფიზემატოზური კარბუნკულს მუდმივი მონიტორინგი სჭირდება

დაავადება იწვევს შეშუპებების წარმოქმნას მთელ სხეულზე, რომლებიც შეხებისას ტკაცუნის ხმას გამოსცემენ. ავადმყოფი ცხოველები ერთ დღეში კვდებიან.

ტეტანუსი

ტეტანუსი მთელ მსოფლიოში გვხვდება. ტეტანუსის ბაქტერიას გარემოში დიდი ხნის განმავლობაში შეუძლია გადარჩენა, რადგან ის სპორებს ქმნის.

ტეტანუსი არ გადაეცემა ცხოველიდან ცხოველს ან ცხოველიდან ადამიანს. ინფიცირება ჭუჭყის შემცველი სპორების საშუალებით ხდება , რომლებიც ჭრილობებში ხვდება. განსაკუთრებით საშიშია ღრმა ჭრილობები და ჭრილობები, რომლებიც არ ნიავდება, მაგალითად, ხბოების კასტრირების ან რქის მოკვეთის შემდეგ. დაავადების სიმპტომები ინკუბაციის პერიოდიდან ორიდან რამდენიმე კვირამდე შემდეგ ვლინდება. სიმპტომები გამოწვეულია არა თავად ბაქტერიებით, არამედ მათ მიერ გამომუშავებული ტოქსინებით.

დაავადების პირველ ფაზაში ტეტანუსისთვის დამახასიათებელია საღეჭი კუნთებისა და კისრის კუნთების უკონტროლო სპაზმი. ამიტომ ავადმყოფი ცხოველები თავებს მაღლა წევენ და კუნთების კრუნჩხვის გამო თითქმის ვეღარ ღეჭავენ. კრუნჩხვები თანდათან ძლიერდება და ერთი დღის განმავლობაში ყველა კუნთზე ვრცელდება. ცხოველები ამ დროს შეხების მიმართ ჰიპერმგრძნობიარობით გამოირჩევიან.

ცხოველებს უჭირთ დგომა, ეცემიან და გვერდულად, დაჭიმული კიდურებით წვებიან.

ტეტანუსის მქონე ცხოველებს გამოჯანმრთელების ცუდი შანსი აქვთ და სწრაფად უნდა დაკლათ, რადგან უმეტეს შემთხვევაში ისინი კრუნჩხვების გამო ტანჯვით მოკვდებიან.

ტეტანუსი

ტეტანუსი არ არის ეპიდემია. არამედ დაავადება, რომელიც ხორცის შემოწმებით რეგულირდება

მოხრილი ზურგი, დაჭიმული ფეხები და მაღლა აწეული თავი ტეტანუსის დაავადების ტიპიური ნიშნებია.

.

ტეტანუსი მტკივნეული და ძნელად განკურნებადი დაავადება. ამიტომ ავადმყოფი ცხოველები სწრაფად უნდა დაიკლან

ცისტიცერკოზი

ცისტიცერკოზი არის დაავადება, რომელიც გამოწვეულია შუამავალი მასპინძლებში ლენტისებრი ჭიებით. პირუტყვში ეს არის ადამიანის ჭია "Taenia saginata", რომელიც ადამიანის ნაწლავში შეიძლება 10 მეტრამდე გაიზარდოს. პირუტყვი, როგორც შუალედური მასპინძელი, იღებს ამ ჭიის კვერცხებს დაბინძურებული საკვების მეშვეობით. კვერცხებიდან გამოჩეკილი ლარვები მიგრირებენ კუნთებში, განსაკუთრებით გულში, დიაფრაგმაში, ენასა და საღეჭი კუნთებში. იქ ისინი ქმნიან ბუშტს, რომელშიც ლარვები ვითარდებიან. ეს ბუშტუკები 8-დან 10 კვირაში 1 სმ. ზომამდე იზრდება. ლარვას საბოლოო მასპინძელს მხოლოდ შუალედური მასპინძლის მეშვეობით შეუძლია მიაღწიოს. მცირე ლენტისებრი ჭიების ინვაზია საერთოდ არ ახდენს გავლენას პირუტყვის ზოგად კეთილდღეობაზე. თუმცა, დიდი რაოდენობით ლენტის ჭიის კვერცხების მიღების შემთხვევაში, დაზარალებულ პირუტყვს შეიძლება აღენიშნებოდეს ცხელება, სისუსტე, ნერწყვდენა, მადის ნაკლებობა და კუნთების კრუნჩხვები. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი რეგულარულად მოწმდება ლარვების არსებობაზე დაკვლის დროს.

ცისტიცერკოზი
ცისტიცერკოზი ზოონოზია. ადამიანები ინფიცირდებიან, როდესაც მიირთმევენ უმ ან ცუდად მოშუშულ ხორცს, რომელიც ჭიების ლარვებს შეიცავს.

ცისტიცერკოზი გამოწვეულია ლენტის ჭიებით.
ხორცის მოწმდება ცისტიცერკოზზე.

ლენტისებრი ჭიის მკვდარი ლარვა.

ცხოველთა ეპიდემიების პრევენცია

ეპიდემიები პრევენცია ან მათი გავრცელების თავიდან აცილების მიზნით ქვეყნებს აქვთ რეგულაციები ცხოველებით და ცხოველური პროდუქტებით ვაჭრობის შესახებ. ეს რეგულაციები არეგულირებს როგორც ცხოველთა ტრაფიკს, ასევე ცხოველური პროდუქტების ტრაფიკს, რომელიც შესაძლოა დაავადების გავრცელების რისკს შეიცავდეს. რეგულაციების ეხება ცოცხალ ცხოველებს, ხორცს, რძეს, ქვეპროდუქტებს (ნარჩენებს), მედიკამენტებს და ვაქცინებს და თაფლს.
სპერმასა და ემბრიონებს ასევე შეუძლიათ პათოგენების გადაცემა, როგორიცაა IBR/IPV ან MD/BVD. ამიტომ მათი იმპორტისთვის ყოველთვის საჭიროა ჯანმრთელობის ოფიციალური სერტიფიკატი.